ჩიღვინაძე ალექს

ოლიმპიური თამაშები

მოქმედი პირები:

დეა, 45 წლის, დრამატურგი
ვახო, 33 წლის, კოპირაითერი
ნინო, 28 წლის, ხელოვნებათმცოდნე
თემო, 40 წლის, ისტორიკოსი
ასმათი, 30 წლის, დეტექტივი

(სცენა გაყოფილია ორად: ოფისი და დაკითხვის ოთახის აბსტრაქცია)

1.

(დეა, ვახო და ნინო დაკითხვის ოთახში არიან. ასმათის მხოლოდ ხმა ისმის) ოფისში შედის თემო. მიდის ყავის აპარატთან და ყავის ჩამოსხმას ცდილობს)

თემო - აღარ მიყვარს ეს ქვეყანა და არ ვიცი რა ვქნა.

(ვახო რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ პასუხად მხოლოდ გაიღიმებს, თუმცა იცის, რომ თემო მის ღიმილს ვერ დაინახავს)

თემო - არადა, ყველაფერი აქაურობასთან მაკავშირებს. პროფესიით ისტორიკოსი ვარ. ამ ქვეყნის შესახებ კითხვის და წერის მეტი კი არაფერი მიკეთებია. მერე რა რომ ჩემმა დაწერილმა სახელმძღვანელომ გრიფირება ვერ გაიარა, მე ხომ დავწერე პატიოსნად და რაც მთავარია ხარისხიანად. ფუნდამენტური ნაშრომია.

ვახო - გადაგიხადეს რამე?

თემო - არა. მაგრამ მარტო ფულზე ხომ არ არის? გავა დრო და დააფასებენ.

ვახო - ვინ, თემო?

თემო - რა ვინ? სამი წელი ვწერდი. ამის დედა ვატირე. სამი. ყავა გინდა?

ვახო - დავლევ.

თემო - დალევ თუ ჩაირთო. ჰა, დროზე ახლა.

(ყავის აპარატს ხელს ურტყამს)

თემო - რა ჭირს ამას ხომ არ იცი?

(ვახო უარყოფის ნიშნად თავს აქნევს)

თემო - დავიღალე რა. მთელი ცხოვრებაა რაღაცას ველოდები და არაფერი არ ხდება. ოთახი რომ შევიცვალეთ, გამიხარდა, მაგრამ ყველა ოთახი ერთნაირია აქ. ყველგან ერთიდაიგივე. ხანდახან მგონია რომ შეუძლებელია რამე მოხდეს.

(პაუზა)

ვახო - იცი რამდენიმე წლის წინ დამიჭირეს.

თემო - შენ დაგიჭირეს?

ვახო - ჰო. რა იყო? არ გჯერა?

თემო - არა, როგორ არ მჯერა. ყველა ქართველი ერთხელ მაინც არის დაჭერილი. თუ არაა, იგონებს. ყველას აქვს ერთი ისტორია ციხეზე. თუ გინდა გავიდეთ ქუჩაში, ნებისმიერი გავაჩეროთ და ვკითხოთ ყოფილა თუ არა დაჭერილი. ნახავ, რა ისტორიებს მოგვიყვებიან.

ვახო - შენ ყოფილხარ დაჭერილი?

თემო - არა, მე დაჭერილიც კი არ ვყოფილვარ.

(ასმათის ხმა ისმის)

ასმათი - ნასამართლევი ხარ?

ვახო - ვითომ არ იცით.

ასმათი - მიპასუხეთ.

ვახო - არა, არ ვარ. უბრალოდ ერთხელ დამიჭირეს.

(ვახო თემოსთან აგრძელებს ლაპარაკს. დგება და ოფისში გადის)

ვახო - მაღაზიაში ჩავედი. მგონი სიგარეტზე. შეიძლება არც ვეწეოდი მაშინ. არ მახსოვს. მანქანამ გამიჩერა. მანქანიდან ორი რძეზე გაზრდილი ღიპიანი მუტრუკი გადმოხტა. რაღაც რეიდი იყო. მანქანაში ჩამისვეს და წამიყვანეს განყოფილებაში. გზაში ფეხბურთზე ვლაპარაკობდით. ნაკრებს აგინებდნენ. ეგ მახსოვს. მივედით. განყოფილებაში უფროსის კაბინეტში შემიყვანეს. იმან გამიღიმა, მხარზე ხელი მომითათუნა, დამიდო წინ რაღაც ფურცელი და მეუბნება: ან ამას მოაწერ ხელს და აღიარებ დანაშაულს, თუ არა და ხომ ვიცით რაც გედო ჯიბეშიო.

ასმათი - რა გედო?

ვახო - არაფერი, მარა შემეშინდა, მეთქი მართლა არ ჩამიდონ რამე. მაგრამ მაგიდაზე ბიბლია დავინახე და ვიფიქრე, მორწმუნეა ტიპი და არ გამწირავს. ახლა არ იცი ხომ რა გედო, შე, ნაბიჭვაროო. წამოავლო ხელი იმ ბიბლიას და გამომიქანა თავში. ვერცხლით მოჭედილი ყდა ქონდა, ლალის თვლებით

მორთული, ამობურცული ჯვრით. სკამიდან გადმოვარდი. მომვარდა და წიხლებით შემდგა. სხვებიც შემოვიდნენ თუ ამან დაუძახა, არ ვიცი და ისინიც მირტყამდნენ. ერთად ისე გამეტებით მირტყამდნენ, რომ შემეშინდა არ მოვეკალი. დილით გავახილე თვალი.

თემო - მერე?

ვახო - ბოდიში, შეცდომა მოგვივიდა. ვის არ მოსვლიაო და გამომიშვეს.

თემო - და ეგრე მორჩა? არ უჩივლე?

ვახო - ვის? რა აზრი ჰქონდა?

თემო - აზრი შეიძლება არ ჰქონდა, მაგრამ პრეცედენტი იქნებოდა, რომ...

ვახო - რომ რა?

თემო - რომ რა ვიცი, არსებობს სამართალი.

(პაუზა)

ვახო - რა თქმა უნდა, არსებობს. გუშინ ჩემმა გოგომ დამპატიჟა სახლში მშობლების გასაცნობად.

თემო - არ ვიცოდი შეყვარებული თუ გყავდა?!

ვახო - კი, დიდი ხანია და ვიფიქრე, მოვიშორებ, ბარემ გავიცნობ მშობლებსთქო.

თემო - კარგი გიქნია. დროა უკვე.

ვახო - ძაან გაუხარდა ჩემს გოგოს ჩემი მისვლა. კარს მიღებს, ხელს მკიდებს და სასტუმრო ოთახში შევყავარ. იქ მხვდება დედამისი. მეხვევა. მათვალიერებს, კმაყოფილია აშკარად. ამ დროს კარი იღება და შემოდის ვინ?

თემო - ვინ?

ვახო - მამა.

თემო - რაო მერე მამამ?

ვახო - იცი ვინ აღმოჩნდა მამა?

თემო - ვინ?

ვახო - ძაღლი.

თემო - ძაღლიც ყავთ?

ვახო - არა, ვინც მცემა ის. განყოფილების უფროსი. საერთოდ არ შეცვლილა ტიპი. ვერ მიცნო. თუმცა რას მიცნობდა ისეთი მუწუკებიანი ბავშვი ვიყავი. გრძელი თმით და ნირვანას მაიკით. მე კიდევ იმის სახეს რა დამავიწყებდა.

თემო - მოიცა, მოიცა. ე.ი. შენი შეყვარებულის მამა აღმოჩნდა ის...

ვახო - დიახ. ხელი რომ ჩამომართვა, მეორე მუცელზე ავიფარე, ავტომატურად, დარტყმის შემეშინდა. მითხრა, მიხარია, ბოლოსდაბოლოს რო გაგიცანიო და მაგიდასთან მიმიპატიჟა. წინ დამიჯდა, როგორც მაშინ, ათი წლის წინ.

თემო - მართლა ვერ გიცნო?

ვახო - კი, თქვა საიდანღაც მეცნობიო, მაგრამ ვერ გამიხსენა. რამდენი ჩემნაირი უცემია ალბათ. თან მოვეწონე.

თემო - ვის კაცო? მამას?

ვახო - ჰო. ის ფაქტი რომ ოლიმპიურ კომიტეტში ვმუშაობ, ეგეთ ტიპებს პატივისცემით განაწყობს. მე კიდევ ვერ ვიტან ასაკიანი ტიპები თანამედროვე ჟარგონით რო გებაზრებიან. ეგ ეგრე ლაპარაკობდა. აი, საწყალობელ იქნა შუშანიკი, რა პონტში ჩემი კარგიც მოვტყანო.

თემო - შუშანიკი?

ვახო - დღევანდელ ახალგაზრდობას სპორტი კიდიაო. მე ჯერ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაზე გავხურდი, მერე ბოქსზე გადავერთეო. შვილიშვილსაც აუცილებლად შევიყვანო და თვალი ჩამიკრა.

თემო - თვალი რატომ ჩაგიკრა?

ვახო - რა ვიცი, ალბათ მე მომიაზრებს თავისი შვილისშვილების მამად. უნდა რომ მისი შტო გავაგრძელო. ლაპარაკობდა, ათას რამეს მიედ-მოედო. ნახევარი არ მესმოდა. თან არ ჩერდებოდა ტიპი. და უცბად იცი რა დავინახე უკან? თაროზე?

თემო - რა?

ვახო - ბიბლია.

თემო - ბიბლია?

ვახო - ჰო, ბიბლია რითიც მცემა. იქვე პატრიარქთან გადაღებული ჩარჩოში ჩასმული ფოტო, მასიური შანდლები და მოოქროვილი ხატები ეწყო. კიდევ კარგი შანდალი არ ედო მაშინ მაგიდაზე, თორემ მერე გენახა.

თემო - ისევ პოლიციაში მუშაობს?

ვახო - არა, ახლა რაღაც ბიზნესი აქვს. სასტუმრო გახსნა სანაპიროზე. იცი რა ქვია? ფერედაისი. სამოთხე.

თემო - უცნაურია ცხოვრება.

ვახო - უცნაური აღარ ქვია ამას.

(პაუზა)

თემო - რას იზამ? დაშორდები?

ვახო - ვის?

თემო - შეყვარებულს. თუმცა რა სისულელეს გეკითხები ახლა, შვილის რა ბრალია ეგეთი მამა რომ ჰყავს.

ვახო - შვილის არაფერი, მაგრამ რა ვიცი რა. არ მინდა ვიფიქრო მაგაზე, მაგრამ რა არ გინდა, მთელი ღამე არ მეძინა. აზრზე ვერ მოვდივარ. შენ რას იზამდი?

თემო - მე რა ვიცი. ვეტყოდი, ალბათ.

ვახო - რას ეტყოდი? მამაშენმა ძვალი და რბილი გამიერთიანა ჩემო გოგო, რამდენიმე წლის წინთქო, ეგ ვუთხრა?

თემო - ჰო, მივიდოდი...

ვახო - სად?

თემო - სადაც იყავი მისული. მაგათთან სახლში.

ვახო - მივედი. მერე?

თემო - დავისვამდი იმ კაცს, მამამისს და მოვუყვებოდი ყველაფერს. ნუ მთლად ასე არა, როგორც მე მომიყევი, მაგრამ ყველაფერს ვეტყოდი. იმასაც ვეტყოდი, ამ ბიბლიას რომ ექსპერტიზა ჩაუტაროთ შეიძლება ჩემი „დნმ“ კიდევ ზედ ჰქონდეს შერჩენილითქო. ეს ისე გაეხუმრე. კარგი ხუმრობა დადებითად განაწყობს ადამიანს.

ვახო - ადამიანსაც გააჩნია.

თემო - ჰო, გააჩნია, ამიტომ თვალებში ჩავხედავდი და ვეტყოდი, რომ ვპატიობ.

ვახო - შანსი არაა.

თემო - იმიტომ პატიობ, რომ მისნაირი არ ხარ და მისი შვილი გიყვარს. ხომ გიყვარს?

ვახო - კი.

თემო - ჰოდა, სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა.

ვახო - რა არის უმნიშვნელო?

თემო - ვიცი, რომ არ არის. მაგრამ მკითხე როგორ მოიქცეოდიო და გითხარი.

ვახო - ვაპატიო?

თემო - არ ვიცი, რთული სათქმელია.

ვახო - და გასაკეთებლად როგორი რთულია?

თემო - მერე ვინ ამბობს მარტივიაო, მაგრამ პატიება რომ შეძლებოდათ ადამიანებს აქამდე კი არ მოვიდოდა მსოფლიო.

ვახო - ჰო, მაგრამ...

თემო - მაშინ უბრალოდ შეგიძლია საერთოდ დაივიწყო ეს ამბავი.

(პაუზა)

ვახო - დავივიწო?

თემო - შესაბამის დროს გაიხსენო. ვთქვათ, ქორწილში სადღეგრძელო თქვა. მთელი მაგის ნათესაობა რომ იქნება შეკრებილი იქ მოყვე ყველაფერს.

ვახო - ჯობია სამშობიაროში მოვუყვე შვილიშვილს რომ აიყვანს ხელში.

თემო - კი, კი, ეგრეც შეიძლება.

ვახო - ჰო.

(პაუზა)

თემო - დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა.

ვახო - გილოცავ.

თემო - მადლობა... კი მერიდება, თან იმის მერე რაც მომიყევი, მაგრამ შენ ცოტა ფული ხომ არ დაგრჩა, ხელფასამდე რომ მომცე?

ვახო - უი. არა, არ დამრჩა, გუშინ ჰენესი ავიტანე და თურმე ვისთან აგაქვს რო აგაქვს.

თემო - უფ, კარგი კონიაკია ეგ. წავალ მე, დაფას შემოვიტან.

ვახო - დაფა რად გინდა?

თემო - დეამ დაიბარა და არ შემოუტანით ჯერ. გაგიჟდება, რომ არ დახვდეს.

ვახო - რა გააგიჟებს?

თემო - გიჟია არაა ისედაც?

ვახო - ეგეც მართალია. მე წავალ. მითხარი სად არის და მოვიტან. საწყობში?

თემო - იყავი, იყავი. ახლავე დავბრუნდები.

2.

(როგორც კი თემო გადის ისმის ასმათის ხმა)

ასმათი - რომელ საათზე მიხვედით სამსახურში?

ნინო - დილით, როგორც ყოველთვის. საათი ზუსტად არ მახსოვს.

ასმათი - ვინ დაგხვდათ?

ნინო - ვახო და ბატონი თემური.

ასმათი - თემური უნივერსიტეტში გასწავლიდათ ხომ?

ნინო - დიახ, გამიმართლა. მთელი უნივერსიტეტი გიჟდებოდა მასზე. მეც. მერე რა რომ?

ასმათი - რა?

ნინო - არაფერი.

(ნინო ოფისში შედის)

ნინო - მარტო ხარ?

(ვახო ბეჭდვას წყვეტს. გარშემო მიმოიხედავს და მერე ნინოს შეხედავს)

ვახო - ჰო.

ნინო - დეა არ მოსულა?

ვახო - არა.

ნინო - თემო?

ვახო - დაფის მოსატანად ჩავიდა.

ნინო - როგორ უყვარს მაგ კაცს დაფები.

ვახო - დეას უთხოვია.

ნინო - უნივერსიტეტიდან მოყოლებული უყვარს. ამდენი ხანი გავიდა და ვერ მომინელებია.

ვახო - რა? ის რომ თემო შენი ლექტორი იყო?

ნინო - არა, ის რომ ნიშანი არ დამიწერა.

ვახო - ნიშანი არ დაგიწერა?

ნინო - არა.

ვახო - და იმიტომ ესწერვები ხოლმე ესე ხშირად?

ნინო - ვის ვესწერვები?

ვახო - თემოს.

ნინო - გეშლება.

ვახო - არა, მგონია.

ნინო - ოპერაცია გავიკეთე და ვერ ვისწავლე. ხომ შეეძლო გაეთვალისწინებინა?

ვახო - რისი ოპერაცია გაიკეთე?

ნინო - ცხვირის.

ვახო - და რა გჭირდა ცხვირზე?

ნინო - არ მომწონდა.

ვახო - იმ ცხვირიანი ყველა ფოტო მოსპე?

ნინო - დიახ.

ვახო - ექნება ვინმეს შანსი არაა. ძაან მაინტერესებს როგორი ხარ.

ნინო - დაგბრიდავ.

ვახო - ძაან გრძელი გქონდა?

ნინო - არა, პროსტა...

ვახო - კეხიანი?

ნინო - არა.

ვახო - პინოქიოსავით? ესეთი?

(ხელით აჩვენებს ცხვირის ფორმას)

ნინო - მომეშვი რა. იცი რა მითხრა? ოპერაცია არაფერ შუაშია პასუხისმგებლობასთან, როცა ისწავლი, მაშინ დაგიწერ ნიშანსო. მეუბნება ტიპი. ჩემი ტოლია თითქმის. რა სტრანია, რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ერთად ვიმუშავებდით. ან თვითონ რას წარმოიდგენდა, რო გავიდოდა დრო და ერთ ოთახში ვისხდებოდით, მე და ის.

ვახო - ჰო, ღმერთს ძაან უცნაური იუმორი აქვს.

ნინო - ალბათ ძაან დამცირებულად გრძნობს თავს.

ვახო - ვინ ღმერთი?

ნინო - არა, თემური.

ვახო - მთავარია რომ შენ ხარ ამაყი.

ნინო - ამაყი არა ის. კომპიუტერები არ შემოუტანიათ?

ვახო - ხედავ სადმე?

ნინო - შენ რომ გაქვს?

ვახო - ეს ჩემია პირადი. სახლიდან მოვიტანე.

ნინო - და რას ელოდებიან?

ვახო - მეორედ მოსვლას.

ნინო - და მანამდე მოწევა არ გინდა?

ვახო - არა, ვანებებ.

ნინო - რამდენი ხანია?

ვახო - რა?

ნინო - რაც ანებებ.

ვახო - იმის მერე რაც მოწევა დავიწყე.

ნინო - მერე ხომ უნდა მიხვდე, რომ ნებისყოფა არ გაქვს. სხვა უფრო მარტივ რამეს დაანებო თავი.

ვახო - რას დავანებო თავი? თუ ნძრევას გულისხმობ, მაგას დიდი ხანია შევეშვი.

ნინო - რა გეშველება?

(ნინო ხელს ჩაიქნევს და სამზარეულოში შედის)

ვახო - ყავა გამიკეთე რა.

ნინო - ტრაკზეც ხომ არ გაკოცო?

ვახო - შაქარი. ერთი კოვზი.

ნინო - შაქარი მავნებელია.

ვახო - ტრაკზე კოცნა ხომ რას ამბობ?

ნინო - შაქარი არაა საერთოდ.

ვახო - გაატრაკეს რა საქმე.

(ნინო ყავას ორ ფინჯანში დაასხამს, სიგარეტს მოუკიდებს, რამდენიმე ნაფაზს დაარტყამს და ჩააქრობს.ოთახში შემობრუნდება.)

ნინო - ველარც ვეწევი.

(ყავის ფინჯანს ვახოს წინ დგამს.)

ვახო - მადლობა.

ნინო - მეძინება.

ვახო - მეც.

(მაგიდის ქვეშ რაღაც გაიფაჩუნებს)

ნინო - ეს რა იყო?

ვახო - რა?

ნინო - ვერ გაიგე?

ვახო - ვერა.

(ნინო მაგიდის ქვეშ იყურება)

ნინო - რაღაცაა აქ.

ვახო - კალია?

ნინო - რა კალია?

ვახო - არ ვიცი რა ჯიშია.

ნინო - სად არის?

ვახო - მე რა ვიცი. დილით იყო.

ნინო - ვერ მოკალი მერე?

ვახო - ვერა, სწრაფია. რა გჭირს?

ნინო - მოკალი.

ვახო - მოვკლა?

ნინო - რაღას უცდი.

ვახო - რითი მოვკლა?

ნინო - რავი, ბაინდერი ჩასცხე.

ვახო - ბაინდერები ძველ ოთახში დარჩა.

ნინო - მაშინ ფეხით გასრისე.

ვახო - ცოდოა.

ნინო - ვახო!

ვახო - ძაან ლამაზია. მწვანეა. დიდი თვალები აქვს. ისე ჩვენი ოლიმპიადის სიმბოლო უნდა ყოფილიყო კალია, რა ხოხობი. ვის უნახავს ხოხობი აქ? აი, კალიები კი არიან ოხრად. თან კალია უფრო სპორტულად არ გამოიყურება? ძლიერი ფეხები, მასიური დაკუნთული ტორსი...

ნინო - მოკალი!

ვახო - ვაჟკაცური გამომეტყველება. აი, თურმე სად შემალულა. ჩემი პატარა ჰალკი ვინ არის?

ნინო - ვახო, გთხოვ, მე ხომ მოგიდუღე ყავა.

ვახო - ყავის მოდუღებას და შეკვეთილ მკვლელობას შორის განსხვავებას ვერ ხედავ?

(კარი იღება და ოთახში ბორბლებიანი დიდი თეთრი დაფა გამოჩნდება, რომელსაც თემო მოჰყვება)

თემო - რას არ გაიგებს კაცი?

(ნინო ოთახში ბრუნდება და სკამზე ჯდება)

ნინო - გამარჯობა. კომპიუტერებზე ხომ არ უთქვამთ როდის შემოიტანენ?

თემო - დღეს არა.

ნინო - რატომ?

თემო - მე რა ვიცი.

ვახო - კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და რელიგიისა, უნდა მიუწვდებოდეს ხელი ვაიფაიზე. ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევა.

ნინო - ბევრს ნუ ლაპარაკობ.

თემო - გაიგეთ? ვალიკო უცემია ხოხობს.

ვახო - ჰა?

თემო - ამ საწყალებს ხან სად დაათრევენ, ხან სად. გაღიზიანებულები არიან ეგენიც. ხან მერის უკან აცეკვებენ და ხან ქუჩაში დაარბენინებ ფრთაგაშლილებს.

ნინო - ლამაზი სიმბოლოა ჩემი აზრით.

თემო - ა, შენი იდეა იყო ხომ? ჰოდა, დაუჭერიათ ერთი. აი, ჩემი თეორიის კიდევ ერთი დადასტურება ქართველებზე და ციხეზე. ხოხობიც კი ჩაჯდა.

ვახო - რა ქნა?

თემო - ჩვენს დაცვას ეჩხუბა თურმე, ვალიკოს.

ვახო - ვალიკოს? იმას?

თემო - კი, იმას. თურმე ამან არ შემოუშვა, საშვი მაჩვენეო.

ვახო - გიჟია ეგ კაცი, იმ დღეს მეც დამრჩა, ცოტა ხნით გავედი ლანჩზე და აღარ მიშვებდა.

თემო - ჰოდა, აუყვირდა ეტყობა. იმან რა საშვი ვერ ხედავ რა მაცვიაო. არ ვიცი მე ხოხობი და მიმინო, ტვინი წაიღეთ უკვეო. ეს ხოხობი გაექანა და ტყუპი წიხლით მიახტა ამ ჩვენ ვალიკოს თურმე. ვალიკოს ბოთლისთვის წამოუვლია ხელი, მაგრამ დასევიან დანარჩენებიც და მაგრად მიუბეგვავთ.

ნინო - ვაიმე, რა საწყალია ეგ კაცი.

ვახო - ღირსი ყოფილა.

თემო - სად დავდო ეს დაფა?

ვახო - იყოს მანდვე. მოვა დეა და მოირგებს თვითონ.

თემო - ასე კარგია? ყველა ხედავთ?

ვახო - მოვა დეა და დამთავრდება სიჩუმის ხანა ოთახში.

ნინო - შენც არ აკლებ.

ვახო - რას?

ნინო - რაც მოვედი ენა არ გაგიჩერებია.

ვახო - ჩემს ენას და დეას ენას ერთმანეთს ადარებ?

ნინო - ჰო, რა, რატომაც არა?

ვახო - ეგ იგივეა რომ ვალიკოს ჭუჭუ შეადარო რომელიმე პორნოვარსკვლავის...

ნინო - ფუ, რა. შენ რა იცი ვალიკოს რა აბია?

ვახო - ვალიკოა რა, რა უნდა ებას...

3.

(ასმათის ხმა ისმის)

ასმათი -როგორი დღე იყო?

დეა - ჩვეულებრივი. არაფრით გამორჩეული. წვიმდა.

ასმათი - რატომ შეიცვალეთ ოთახი?

დეა - იმიტომ რომ წინა ხმაურიანი იყო.

ასმათი - კომპიუტერები რატომ არ გადაიტანეთ?

დეა - იმიტომ რომ არ გვჭირდებოდა.

ასმათი - რატომ?

დეა - დაფაზე ვწერდით.

ასმათი - ახალ ოთახში დეპარტამენტის მხოლოდ ერთი ნაწილი გადახვედით?

დეა - მხოლოდ ის ადამიანები, ვინც გახსნის სცენარის შემუშავებაში იღებდნენ უშუალო მონაწილეობას.

ასმათი - თქვენ შეარჩიეთ ისინი?

დეა - არა, თავიდანვე გამოიკვეთნენ.

ასმათი - როგორ დაიწყო დღე?

დეა - როგორც ყოველთვის ხომ გითხარით ჩვეულებრივი დღე იყო-მეთქი.

ასმათი - და ყველა ისე იქცეოდა როგორც ჩვეულებრივ დღეებში იქცევა?

დეა - რავი კი.

ასმათი - თქვენც ჩვეულებრივად იქცეოდით?

დეა - სრულიად ჩვეულებრივად.

(დეა სწრაფი ნაბიჯით გადის ოფისში. დიდი ლურჯი შარფი აქვს მოხვეული. ჩანთას დადებს. მიდის დაფასთან და წითელი მარკერით წერს:

„დარჩა 769 საათი, 34 წუთი და 7 წამი“)

თემო - გამარჯობა, დეა.

ვახო - გელოდებოდით.

დეა - რაც უფრო ცოტა დრო რჩება, მით უფრო ბევრი საქმე გვაქვს.

თემო - დეა, ხელფასსზე ხომ არ იცი შემთხვევით რამე?

დეა - მოვედი ჯერ?

თემო - არ მოსულხარ?

დეა - დღეს უნდა მოვრჩეთ სცენარს და მივაწოდოთ რეჟისორებს. ამაზეა დამოკიდებული ჩვენი ხელფასებიც და ჩვენი ქვეყნის პრესტიჟიც.

ნინო - დაბრუნდა დევიდი?

დეა - ჯერ არა.

ვახო - სად ბრძანდება?

დეა - საქართველოში მოგზაურობს.

ვახო - რა ენაღვლება.

დეა - ხომ უნდა გაიცნოს ქვეყანა, არა? ტიპი თურმე მაგარ აზარტშია. გაგიჟდა ისე მოწონს ყველაფერი. ლონდონის ოლიმპიადის გახსნა მონაგონი იქნებაო ამბობს.

ვახო - აბა რა, ჰო.

დეა - ამას გამოვიყენებ, იმას გამოვიყენებ. ორნამენტებსო, ფოლკსო, ჩურჩხელებსო. თქვენ გქონიათ ძმაო კულტურა თუ გქონიათო. რა როკი და რა ჯაზიო. ჰოდა, ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ. გვაქვს დაფა. გვაქვს ძალიან ცოტა დრო და დღესდღეისობით ქვეყანაში ყველაზე საპასუხისმგებლო საქმე, იმიტომ რომ პირველად ტარდება ოლიმპიადა აქ.

ვახო - რომელიც უხილავი საცეცებით უკავშირდება იმ ანტიკურ საბერძნეთს...

თემო - ისე რას გადაეკიდნენ ამ საბერძნეთს? მარტო ერთი არისტოტელე აიწონის მთელ იმ საგარეო ვალს, რასაც ევროპა ედავება. კინობიზნესი აიღე თუ გინდა. რაც იქ ფული ტრიალებს, ვინ რას დაწერდა არისტოტელეს გარეშე.

ვახო - სხვათაშორის ის ვალი ბერძნებს, ათენის ბოლო ოლიმპიადის მერე დარჩათ.

დეა - ღმერთმა დაგვიფაროს.

ვახო - რომელმა ზევსმა? თუ იმ ჩვენს მოხუცს გულისხმობ?

დეა - ნინო, ყავა გამიკეთე რა.

ნინო - ახლავე.

დეა - რა გჭირს შენ?

ნინო - არაფერი. რა უნდა მჭირდეს?

დეა - რა ვიცი, რაღაც ფერი არ მომწონს შენი.

ნინო - არ მეძინა.

დეა - რატომ?

ნინო - რავი აბა.

დეა - მოდი, მოკლედ და დავიწყოთ.

ვახო - აქ რატომ გადმოვედით, დე?

დეა - იმიტომ. რა არ მოგწონს?

ვახო - რა უნდა მომწონდეს?

დეა - ყველაზე მშვიდი ოთახია მთელს შენობაში.

(თემო ხელს წევს მაღლა)

დეა - ჰო, თემო.

თემო - (ჩაახველებს) გუშინ ვფიქრობდი. ძველ ჩანაწერებში ვიქექებოდი და უცებ დამარტყა თავში. ერთი ეგეთი ამბავი გამახსენდა. ქართველი უფლისწული, გვარს და სახელს არ დავასახელებ, რამდენიმე წელი ტყვედ ჰყავდა ბიზანტიის იმპერატორს.

(ამ დროს ქვემოდან დოლების ხმა ისმის)

დეა - რა ხდება?

ნინო - კასტინგია.

თემო - ჯერ კიდევ თვეების იყო რომ წაუყვანია. ჰოდა, მისი დაბრუნების დრო რომ დადგა...

დეა - რა კასტინგია, არ გამაგიჟოთ.

ნინო - მონაწილეებს არჩევენ კონცერტებისთვის.

თემო - უკან გამოგზავნა. მაგრამ უცბად გადაწყვეტილება შეცვალა, ამიტომ თავისი ჯარისკაცები დაადევნა უფლისწულს.

დეა - რა კონცერტისთვის?

ნინო - ოლიმპიადის გახსნაში მონაწილეებისთვის გამართული კონცერტისთვის.

თემო - საზღვარზე დაეწივნენ თურმე და ასეთ სცენას შეესწრენ, ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო...

დეა - ჯერ ის არ ვიცით ოლიმპიადის გახსნაში ვინ იმონაწილევებს და რა კონცერტი? გაგიჟდნენ? იქნებ ესენი დაგვჭირდნენ გახსნაში, ვისაც ახლა შეარჩევენ და მერე თავის თავს ჩაუტარონ კონცერტი? არ უნდა ეთქვათ? რა არის ეს?

თემო - როგორც ჩანს იმათაც არ იცოდნენ.

დეა - ბარდაგია რა! არასოდეს არავინ არ გისმენს, რას ეუბნები.

თემო - აბა, კაცო.

ვახო - იქნებ გარეთ ხის ქვეშ დავსხდეთ ჭეშმარიტი ბერძნებივით?

დეა - მგონი მოგვიწევს.

თემო - ჩავაგორო დაფა?

(დოლების ხმა ახალი ძალით იფეთქებს და მალევე მიყუჩდება.)

დეა - მგონი მორჩა.

ნინო - პაუზაა და დაიწყება ისევ.

დეა - სანამ დაიწყება, სად გავჩერდით?

(თემო რაღაცის თქმას დააპირებს, თუმცა ნინო არ აცდის)

ნინო - გავჩერდით იმაზე, რომ გახსნა უნდა იყოს დაუვიწყარი.

თემო - ყოველდღე მაგაზე არ ვჩერდებით?

დეა - ბატონმა ზაზამ დამირეკა. ერთი საათი მელაპარაკა.

ვახო - და რაო დაუვიწყარი გახსნა უნდა იყოსო?

დეა - ცოტა თანმიმდევრობა შეიცვალა, მაგრამ ჩვენ ეგ არ გვეხება.

(დეა დაფასთან მიდის და რასაც ამბობს იმის შემოკლებულ ვერსიებს დაფაზეც ინიშნავს. მაგ: სპორტ. საზ. მსვ; ცეც. ან. დეპ;)

დეა - სპორტსმენების საზეიმო მსვლელობას მოყვება ცეცხლის ანთება. მერე წავა მიმართვები. ბატონი ზაზას მიმართვა იქნება. ამაზეც თუ გექნება იდეები მითხარიო. ხომ იცი როგორ გენდობიო. რა ვთქვა? რა არ უნდა გამომრჩესო. მერე ის წარმოდგენა. მთავარი ნაწილი: ისტორია და ტრადიციები.

ვახო - ტრადიციებზე გამახსენდა. უფრო ხომ არ მივუახლოვდეთ სტანდარტებს?

დეა - რას გულისხმობ?

ვახო - რას და არავის ახსენდება, რომ განსხვავებით თანამედროვე ოლიმპიადისგან ძველად ოლიმპიადებში სპორტსმენები შიშვლები მონაწილეობდნენ. დაარიკინებდნენ აქეთ-იქით. ზევსს აჩვენებდნენ ძალას და კუნთებს. ჩემი აზრით ამ ტრადიციის აღდგენა უნდა მოვითხოვოთ.რას იტყვით რომ ნაღდი ნუდისტური ოლიმპიადა ჩავატაროთ? აი, ეგ არ დაავიწყდება არავის.

დეა - ორგიაც ხომ არ მოვაწყოთ?

თემო - არ არის ეგ ცუდი იდეა.

დეა - შენც თემო?

თემო - რა მეც?

დეა - შენც შეუერთდი ამას?

თემო - ვის შევუერთდი?

ვახო - მე მგულისხმობს.

(ვახო ლეპტოპში ჩაძვრება)

დეა - შეეშვი მაგ ლეპტოპს და ჩაერთე.

ვახო - ჩართული ვარ.

დეა - არ ხარ. იმიტომ არ შემოვატანინე კომპიუტერები დღეს, რომ ვიმუშაოთ.

ვახო - ვმუშაობ, დეა. ჩვენი საიტის კონტენტს ვამოწმებდი. აგერ, ვიღაც ჩვენს ექიმს წერს კითხვას. ჩემს წლისნახევრის ბიჭს პამპერსის გახდისას სათესლე პარკები რაღაცნაირად მოჭმუჭნული და მაღლა ამხტარი აქვს, ალბათ სიცივის ბრალიცაა. მყავდა ამ ორი თვის წინ ექიმთან და მითხრა არაფერიაო. მაშინ

მეჩვენებოდა, რომ ერთი ჯირკვალი არ ქონდა ჩამოსული პარკში, ახლა კი კურორტზე ვართ და სიცივეში, სულ მაღლა აუხტა ორივეო.

თემო - დედის გული მაინც სულ სხვაა. მაღლა აუხტაო? მილიმეტრებში აქვს გათვლილი.

ვახო - კი, კი და უგრძელებს. რას მირჩევთ კიდევ ვის მივმართოო და წინასწარ დიდი მადლობა რომ არსებობთო.

თემო - მამაოს მიმართა ნეტა უკვე?

დეა - არ მორჩები?

ვახო - მოვრჩი. აჰა. თქვენს განკარგულებაში ვარ.

(ვახო ლეპტოპს დახურავს.)

ვახო - ა, ბატონო.

დეა - გაქვთ ახალი იდეები?

ვახო - რა იდეები უნდა გვქონდეს, ერთადერთი რაც თურმე ჩვენ ერს გააჩნია ცეკვა და სიმღერა. ხალხური ეგეც.

თემო - არ არის ეგ ცოტა.

დეა - კარგი ახლა ნუ დაიწყებ თავიდან.

თემო - „ჩაკრულომ“ რომ ჩამოგვიფრინოს კოსმოსიდან? ესე ყველას სათითაოდ რომ ჩაუფრინოს, „ოოო“

ვახო - თავიდან რომ ვერ ხვდები რა არის.

თემო - ჰო. ან წარმოიდგინე, რომ ბატონი ზაზა დგას მიკროფონთან და ამბობს: ჭ! ჭ! ვერავინ ვერ ხვდება რა უნდა. ჰგონიათ რომ გაიჭედა და ამ დროს იტყვის: ასო-ბგერა „ჭ“მხოლოდ ჩვენ გვაქვს ქართველებს.

ვახო - „ჭ“ მართლა მარტო ჩვენ გვაქვს?

დეა - კარგი, გავიარეთ.

ნინო - ნუ სპორტი ხომ გვქონდა არა რაღაცა. ტრადიციული.

თემო - ლელო, ცხენბურთი...

ნინო - ჰო, ერთხელ მახსოვს ვიყავი სამეგრელოში თუ თუშეთში.

ვახო - რა ახლოსაა ერთმანეთთან.

ნინო - ჰო, რა. დოღის პონტში იყო რაღაცა.

დეა - რა დოღის?

ნინო - ტრადიციული შეჯიბრი. პატარა, შიშველი ბიჭები დიდ ცხენებზე და როგორ აჭენებდნენ უნდა გენახათ. მოხუცები ფულს დებდნენ, იგებდნენ, აგებდნენ.

დეა - და ეს როგორ დავუკავშიროთ ოლიმპიადას?

ნინო - ნუ ჩვენი ტრადიციული სპორტის სახეობები ხომ გვქონდა რაღაც.

თემო - კი, შური და ბოღმა.

ვახო - მოდი, მოედნის ცენტრში დავდგათ კასრი.

დეა - რა კასრი?

ვახო - მუხის კასრი. ხომ ვართ ჩვენ ღვინის ქვეყანა?

დეა - კი, ვართ.

ვახო - და მოულოდნელად კასრიდან გამოვიდეს კაცი.

ნინო - რატომ კაცი?

ვახო - თუ გინდა ქალი, მაგრამ დიოგენე კაცი იყო. ამოიღოს ფირები...

დეა - რას მასხრობთ ახლა?

ვახო - არ დამამთავრებინებ?

დეა - არა.

დეა - მე გავაკეთე მონახაზი თავიდან ბოლომდე. პრინციპში არც არაფერი ჭირდება, სანამ წავიდოდა დევიდი, უკვე გავიარე მასთან რაღაცები.

თემო - გაგვიმხელ ჩვენც?

(დეა იხსნის ლურჯი ფერის შარფს. ხელში იჭერს და აფრიალებს.)

დეა - თავიდან მოედნის ნახევარზე გაფენილი იქნება ლურჯი ქსოვილი, რომელსაც ათასამდე ადამიანი ტალღურად დაუწყებს ქნევას და ამით ზღვის ტალღების იმიტაციას შექმნის. მოედნის მეორე ნახევარზე განლაგებული იქნება გულის ფორმის სცენები. ან უკეთესი იქნება თუ სცენა სამოთხის ყვავილებს დაემსგავსება.

ნინო - ლოტოსის ფორმის რომ იყოს?

დეა - მაშინ ზღვა კი არა ჭაობი გამოვა.

ვახო - იყოს მერე ჭაობი.

თემო - ჭაობი კი არა ფელამუში იყოს. ფელამუშის ზღვა.

დეა - ჩვენ ზღვა გვაწყობს. შავი. ჩვენი ქართული კულტურის აღქმა ხომ არგონავტებით იწყება, ამიტომ ცერემონიის მთავარი თემადაც ეს უნდა ვაქციოთ.

ვახო - ჩვენი კულტურის აღქმა მართლაც არგონავტებით იწყება? თქვი რამე, თემო.

თემო - მე ისტორიკოსი ვარ. მითებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ჩვენ რომ კულტურის აღქმა საერთოდ დაკარგული გვაქვს ეს ფაქტია. ასე რომ ჰო შეიძლება არგონავტებითაც იწყებოდეს.

დეა - ნახეთ, ზღვა ღელავს. ოქროსფერი ყვავილის სცენა გადაიხსნება და ვხედავთ მედეას, რომელიც ცეკვავს ვნებიანად, გამომწვევად, კაკ აისიდორა დუნკან.

ნინო - ჰუ იზ აისიდორა?

ვახო - ესენინის ნაშა. ესენინი - რუსი პოეტია.

ნინო - ვიცი.

ვახო - და ის იცი აისიდორა დუნკანი როგორ მოვკდა?

დეა - არ შეგიძლია ეგ მერე მოყვე?

ვახო - აისიდორა გამოდის სასეირნოდ. გარეთ სუსხიანი ქარია. ის გრძელ წითელ შარფს იხევევს ყელზე. ჯდება მანქანაში და მანქანას ქოქავს. მანქანა დაიძრება და რამდენიმე მეტრში ჩერდება. იმიტომ რომ შარფის ერთი ბოლო ეთრევა ბორბალში და აისიდორა იხრჩობა.

დეა - რა ჭირს ამას?

ვახო - არაფერი, დეა. გააგრძელე. ხალხი დუმს და შენ გელოდება. ე.ი. მოდის იაზონი თუ იასონი?

თემო - იასონა ერქვა ბაბუაჩემს.

დეა - რამე გვეტყობა რომ გვაინტერესებს შენი ბაბუა? არა, ხო?

ვახო - დეა, შენი ქმარი სადაურია?

დეა - რა შუაშია ეგ? არა, მითხარი რა, ნინო, რა შუაშია ჩემი ქმარი.

ნინო - მე რა ვიცი.

დეა - ჩემს ქმარზე საჭორაოდ ვართ აქ შეკრებილები? არა. ჩამამთავრებინეთ რა. მერე ვიკამათოთ.

თემო - რაა საკამათო, მშვენიერად დაგილაგებია ყველაფერი.

ვახო - იაზონი აიტაცებს ხელში მედეას და დაატრიალებს. მიიყვანს ხესთან.

დეა - რა ხესთან?

ვახო - მე რა ვიცი, კაკალთან. რაღაცაზე ხომ ეკიდა ის საწმისი. თან ვიტყვით, თქვენ სად იყავით, ამერიკელებო, ბაბუაჩემმა ეს კაკალი რომ დარგოო. მერე ადგება ის ბოზი, ჩამოხსნის იმ ოქროს ქურქს და შემოიცვამს.

დეა - ყველა ქართველი კაცი დღემდე რატომ ეჭვინობს მედეაზე? რატომ? უცხოელს რომ მისცა? არ ვარგოდნენ აქაურები.

ვახო - პირადი გამოცდილება მაინც სულ სხვაა.

დეა - რა?

ვახო - პირადი გამოცდილების მნიშვნელობას გავუსვი ხაზი, რაღა თქმა უნდა, შენს სასარგებლოდ.

თემო - იქნებ მტრედებიც გავუშვათ?

დეა - არ არის ცუდი იდეა.

ნინო - კი, მტრედები კარგია. მტრედს ხოხობი არ ჯობს?

დეა - კარგი ახლა ხოხობზე მაჩალიჩე კიდევ. სად ვიშოვნო ხოხობი?

თემო - წითელ წიგნში.

(დეა დაფაზე წერს: ბევრი მტრედი)

ვახო - მაინც აკლია რაღაც.

დეა - რა აკლია?

ვახო - არ ვიცი. იქნებ კანკანი დავამატოთ.

ნინო - რა კანკანი?

ვახო - აი, კანკანი რომ იცეკვონ ჩოხოსნებმა. იქნება ხმაური, ტემპი და ხტუნვა. ცეკვა-თამაში. მეტი რა გვინდა?

თემო - მეტი არაფერი.

ვახო - გეუბნები არ არსებობს ამაზე ქართული ცეკვა. აიშვირე ფეხები და იბუქნავე. ლონდონის ოლიმპიადაზე, 2012-ში რომაელი ჯარისკაცები ცეკვავდნენ კანკანს და რითი არიან ქართველი ჩოხოსანი ვაჟები რომაელებზე ნაკლები?

დეა - გეყოფათ რა მართლა! არ გრცხვენიათ? ნერვებზე ვზივარ უკვე.

(ქვედა სართულიდან ისევ ისმის მუსიკა. დეა ოფისიდან დაკითხვის ოთახში ინაცვლებს)

დეა - თემოს შვილის დაბადების დღე იყო. დაუნის სინდრომი აქვს მის შვილს. ისეთი საყვარელი ბიჭუნაა.

ასმათი - თემური ისტორიკოსია ხომ?

დეა - დიახ, და ფანტასტიკური სახელმძღვანელო დაწერა, სამწუხაროდ ის ვერ გაიარა...

ასმათი - გრიფირება?

დეა - ჰო, გრიფირება თუ რა ჯანდაბაცაა, ვერ გაიარა. ნუ როგორც ხდება რა, არ შეარჩიეს. უსამართლოდ დაჩაგრეს.

ასმათი - უკმაყოფილო იყო ამის გამო?

დეა - აბა, რა იქნებოდა. სამი წელი წერდა. მგონი ამის გამო წამოვიდა უნივერსიტეტიდანაც, რომ მშვიდად ეწერა. მერე გაუჭირდა ფინანსურად და ბედზე ჩვენ ავიყვანეთ კონსულტანტად.

ნინო - კარგით რა დავეხმაროთ დეას.

ვახო - ვეხმარებით, არა?

თემო - მე რაც შემოგთავაზეთ არაფერი არ მოგწონთ და რა ვქნა?

დეა - არ ვარგა და იმიტომ არ მოგვწონს. ეგრე თუ დაწერე ის სახელმძღვანელო, იმიტომ ვერ გაიარა… ის... რა ქვია?

თემო - გრიფირება?

დეა - ჰო.

თემო - სამი წელი ვწერდი. ეგეთი არ ყოფილა აქამდე. იმ იდეოლოგიური ნაგვით გამოტენილ წიგნებს კი არ ჰგავს, რითიც ახლა ასწავლიან. თანამედროვე სახელმძღვანელოა. გაგიჟდებოდნენ ბავშვები ისე მოეწონებოდათ. და იცით რატომ? იმიტომ რომ მარტივად ვწერ. გასაგებად.

დეა - ჰოდა, აქაც იგივეს გთხოვთ. იმიტომ აგიყვანეთ.

თემო - რას მთხოვთ? რას? და რას მაყვედრით იმას რომ ამიყვანეთ. ავდგები და წავალ.

დეა - წადი, ბატონო.

თემო - წავალ. მაგრამ ჯერ ხელფასი ჩამერიცხოს და მერე წავალ. დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა და საჩუქარი ვერ მიყიდია.

დეა - რა გააკეთე, რომ ხელფასს ითხოვ.

თემო - თქვენ? თქვენ რა გააკეთეთ? ეს მასხრობა რაც ახლა მოყევი?

დეა - რა არის მასხრობა?

თემო - თქვენ მედეა მართლა ისტორიული პერსონაჟი გგონიათ მგონი. შენ გეცოდინება ნინო რომელ წელს მეფობდა აიეტი?

ნინო - მე რას გადამეკიდე?

თემო - არ დაიღალეთ? თუ მაინცდამაინც ზეზვა და მზია მაინც აგეღოთ. პირველი ევროპელები იყვნენ ბოლოსდაბოლოს.

დეა - გეთქვა მერე ეგ.

თემო - არ ვთქვი? მაგრამ ვინ გისმენს?

ვახო - მზია გახდა მედეა და ზეზვა - სტალინი. აი, ეს არის ქართული ევოლუცია, ქართული ოცნება.

თემო - იმისთვის ხომ არ კეთდება ეს ყველაფერი, რომ ოღონდ გაკეთდეს?

დეა - შენ მგონი მართლა ვერ ხვდები რას ვაკეთებთ და რისთვის.

თემო - ვერა.

დეა - ეს ნახტომია მომავალში.

თემო - რომელ მომავალში?

ნინო - კარგი რა დაუნებივით იქცევით მართლა?

(ასმათი ხმა ისმის)

ასმათი - ვინ დაიწყო კონფლიქტი?

დეა - ნინომ.

ნინო - მე?

დეა - დიახ, შენ.

ნინო - არ გრცხვენია?

დეა - მე უნდა მრცხვენოდეს კიდევ? კაცი იქ დგას და რა დაუნებივით იქცევითო.

ნინო - ეგრე არ მითქვამს.

დეა - აბა, როგორ?

ნინო - შეიძლება წამომცდა, მაგრამ..

(თემო რაღაცის თქმას დააპირებს)

ვახო - შიგ ხომ არ გაქვთ?

ნინო - სხვა რამეს ვგულისხმობდი.

თემო - არაფერია. მე შემიძლია ავიტანო ყველა შეურაცხყოფა. იმუნიტეტი მაქვს ამაზე, როგორც ყველა ქართველს. სუსტი ვარ, ჩემი ერთადერთი ძლიერი მხარე ის არის, რომ ამის აღიარება შემიძლია. რაც გინდათ გააკეთეთ მე ხელფასი ჩამირიცხეთ. ეგეც არ მჭირდება, უბრალოდ ჩემი შვილი რომ გავახარო იმისთვის მინდა. და თუ ეს ოლიმპიადა ვინმეს გაახარებს, მაშინ აქვს აზრი. არა? ასე არ არის?

დეა - ეს ოლიმპიადის გახსნაა, თემო, თერაპიული სეანი კი არაა.

თემო - მაშინ მე აქ არაფერი მესაქმება.

(თემო გადის. ვახო დეას და ნინოს შეხედავს და უსიტყვოდ გაჰყვება)

4.

(ნინო დაკითხვის ოთახში გადაინაცვლებს)

ასმათი - ფსიქოლოგთან რამდენი ხანია რაც დადიხართ?

ნინო - ფსიქოლოგთან?

ასმათი - დიახ, ხომ დადიხართ ფსიქოლოგთან?

ნინო - ერთი წელია.

ასმათი - რა პრობლემები გქონდათ?

ნინო - არ ვიცი, ის მეხმარება მაგაში, რომ პრობლემების გაცნობიერება შევძლო.

ასმათი - თქვენს ფსიქოლოგს ველაპარაკეთ.

ნინო - რატომ? ჩემს ფსიქოლოგთან რა გინდოდათ?

ასმათი - არაფერი. გავესაუბრეთ, ისე უბრალოდ.

ნინო - რა გითხრათ?

ასმათი - რა უნდა ეთქვა?

ნინო - არ ვიცი. არაფერი. რა უნდა ეთქვა.

ასმათი - მას უფლება არა აქვს გასცეს პაციენტის საიდუმლო. წამალს სვამთ?

ნინო - რა თქვენი საქმეა? დიახ, ვსვამ. ჩამოგითვალოთ?

ასმათი - გლიცინი? დიაზეპამი? ქსანაქსი? იმ დღესაც სვამდით?

ნინო - დიახ.

(პაუზა)

ნინო - როცა ვამბობდი, რომ ყველას დახოცვის სურვილი მაქვს-მეთქი, ამას გადატანითი მნიშვნელობით ვამბობდი.

ასმათი - ყველას დახოცვა გინდოდათ?

ნინო - ისე. სიტყვის მასალა იყო. აგრესიისგან ვიცლებოდი. სინამდვილეში მაგას სულაც არ ვგულისხმობდი.

ასმათი - მაგას პირდაპირ არასოდეს ამბობენ.

ნინო - ჰო, აბა, რა. ვინ იტყვის მაგას პირდაპირ.

(დეა დგას სამზარეულოში ეწევა სიგარეტს და ტელეფონზე ლაპარაკობს შედის ნინოც დეასთან და სიგარეტს უკიდებს)

დეა - ალექსი მშორდება.

ნინო - რა თქვი?

დეა - ქმარი მშორდება.

ნინო - ყავა გინდა ?

დეა - არა.

ნინო - ახლავე. ეს უაზრო ამინდებიც აღარ დამთავრდა რა. სულ წვიმა შეიძლება?

დეა - იმან ყველაფერი დამთავრდაო.

(ნინო ყავის აპარატს რთავს.)

ნინო - ჰა?

დეა - მშორდება. საბოლოოდ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მე დეას ასე მომექცეოდა ვინმე. და იცი რის გამო? ვიღაც ყავს. ვიღაც სხვა ყავს, ჩემზე უმცროსი.

ნინო - თვითონ გითხრა?

დეა - არა, ეგ არ უთქვამს, მაგრამ მივხვდი. რა მიხვედრა უნდა მაგას. უბრალოდ გვიან მივხვდი. იდიოტი ვარ. გვიან რა, ვხვდებოდი ადრეც, მაგრამ ხომ იცი მაინც არ გინდა დაიჯერო. ბოლო მომენტამდე. ახლა კიდევ რო ვიხსენებ იმ დამპალს, როგორ იქცეოდა. რა აშკარა იყო ყველაფერი. სად მქონდა თვალები? სად? არა, როგორ არ ვამჩნევდი, მაგრამ ყურადღება გადამქონდა. მეგონა გადაუვლიდა. არც დამიშვია. მაგაზე ვერ ვფიქრობდი. სამსახურში გვიანობამდე ვრჩებოდი. ვმუშაობდი, სულ ვმუშაობდი.

ნინო - და აქ კიდევ ესენი გიშლიან ნერვებს.

დეა - ჰო. რა უნდათ საერთოდ? ხვდები შენ? თუ არ უნდათ აქ მუშაობა, წავიდნენ. აძალებთ ვინმე? ნახევარი საქართველო უმუშევარია.

ნინო - მეტი. ისეთი ტიპები ეძებენ სამსახურს, გაგიჟებული ვარ.

დეა - ესმით? არ ესმით. გამომივიდნენ აქ. ამათ ჰგონიათ მე მომწონს რასაც ვაკეთებ? არ იციან, რომ სულ ფეხებზე მკიდია გახსნაც და დახურვაც. ერთი გადამიტრიალდება და აქაურობას... არა, რა ჩემი ბრალია.

ნინო - შენ რა შუაში ხარ?

დეა - თავიდან ყველაფერს ბავშვს ვაბრალებდი. იმის მერე გაცივდა. მეგონა, ბოლომდე მეგონა რომ გადავხარშეთ, მაგრამ როგორც ჩანს. მე ვერ გავბედავდი

იგივეს. დედას გეფიცები, ვერ გავუკეთებდი ამას. ვერ მივატოვებდი ესეთ მომენტში.

ნინო - რა იცი?

დეა - გავგლეჯ შუაზე იმ მალალეტკას.

ნინო - ვის?

დეა - რა ვიცი ვის, ეგ რომ ვიცოდე. იმ ბოზს ვისთანაც მღალატობს. კაცი რომელიც მთელი ცხოვრება მეფიცებოდა შენთან ვიქნებიო, შენზე უკეთესი ქალი არ შემხვედრიაო და ვდრუგ... მე გავატარო, ნინო? არა. შანსი არაა. არ შევარჩენ. არც მაგას და არც იმას,

ნინო - ვის?

დეა - ვინც არ უნდა იყოს. არ მოვასვენებ. გეფიცები, ძილი გაუტყდებათ.

ნინო - და რას მიაღწევ მაგით? დაიტანჯავ თავს.

დეა - ახლა არ ვიტანჯები? ახლა რას ვაკეთებ აბა? რას მივაწევ? როგორ თუ რას მივაღწევ. როგორ გამიბედა უბრალოდ. ეგ დამპალი ამერიკელი გლეხი. ტეხასს არ იყო გაცდენილი. ახლა ხომ ცხოვრობს მელიქიშვილზე. ეგ ნაგავი. მომინდომა აქ პატარა ბოზი. დარწმუნებული ვარ. იცი როგორი იქნება? აი, კუკლასავით. უკან გადაწეული თმა. უაზრო თვალები.

ნინო - დეა, ნუ ფიქრობ ამაზე.

დეა - დიდი ძუძუები. და დებილი. თავში არაფერი ექნება და არც ისე. ჰოდა, ბულდოგივით მოუჭერს.

ნინო - გაჩერდი, დეა, არ გინდა.

დეა - ეგეთებს გონიათ, რომ მათ გარშემო ვინც არის ყველა მათ უნდა ემსახუროს. იმდენად კმაყოფილები არიან ყოველი შეძენილი ნივთით

ნინო - გთხოვ.

დეა - ყოველი ადამიანით, რომ ვერ ხვდებიან რა ამაზრზენად გამოიყურებიან სხვების თვალში.

(მობილური რეკავს. დეა პასუხობს)

დეა - დიახ, გისმენთ, ბატონო ზაზა!

5

(ოლიმპიური კომიტეტის შენობა ფეთქდება. დაკითხვის ოთახში შედის დეტექტივი ასმათი. დეას, ვახოსა და ნინოს წინ ჯდება)

ნინო - გამთენიისას გამეღვიძა. ერთი საათიც არ მძინებია. ტელევიზორის ხმამ გამაღვიძა, როგორც ჩანს ჩართული დამრჩა. ვიღაც კვნესოდა, მაგრამ ასატანად. თავიდან ვერ მივხვდი ვინ. ისევ ამ აფეთქებაზე ლაპარაკობდნენ. კადრებს ვუყურებდი. საკუთარ თავსაც მოვკარი თვალი.

ასმათი - მოდი, თავიდან დავიწყოთ.

დეა - მეგონა, რომ იღუნებოდა კედლები. იატაკი ხურდა.

ნინო - ტუალეტთან მოგლეჯილი ხელი ეგდო.

დეა - ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ჯოჯოხეთი, აი, რა გვაერთიანებს სინამდვილეში ქრისტიანებს. ქრისტე კი არა, ჯოჯოხეთი.

ნინო - ბეჭედი ეკეთა თითზე. ცოტა ხნის წინ გათხოვდა ის გოგო. ნანკა. ძაან კაი გოგო იყო. ისე მოწონდა ის თავისი ბეჭედი, პატარა ბრილიანტის თვლით. გოაზე ქონდა თაფლობის თვე. ისე იყო გაშავებული. ეგრევე ვიცანი ვისი ხელიც იყო. ვა, ნანკა-მეთქი გავიფიქრე. უცნაურია არა? გეგონება ისე შემხვდა, ცოცხალი, როგორც ყოველთვის. გული ამერია. ვარწყევდი, ვერ ვჩერდებოდი.

ასამთი - რატომ ორსულად ხომ არ ხართ?

ნინო - ვერ გავიგე?

ასმათი - ემოციებს ნუ აყვებით რა.

ნინო - ვაიმე, რა კარგი რჩევა მომეცით. წავალ ახლა და ყველაფერი კარგად იქნება. არც ემოციებს ავყვები. ვაფშე დავიკიდებ ყველაფერს.

ასმათი - ყველაფერმა ჩაიარა. ახლა დრო არ უნდა დავკარგოთ. ჩვენ ვცდილობთ გავარკვიოთ რა ხდებოდა აფეთქებამდე და რა მოხდა მერე.

ვახო - მაგას სწავლობს თეორიული ფიზიკაც.

ასმათი - ბატონო?

ვახო - დიდ აფეთქებას ვგულისხმობ.

ასმათი - არ გძინებიათ, დაიღალეთ და ვიცი რასაც გრძნობთ, მაგრამ...

დეა - საიდან იცით?

ასმათი - გარკვეული გამოცდილება მეც მაქვს.

დეა - რა გამოდცდილება?

ასმათი - მიმუშავია ამ მიმართულებით.

დეა - რა მიმართულებით?

ასმათი - სტაჟირება ამერიკაში მაქვს გავლილი.

დეა - რა სტაჟირება?

ასმათი - ანტიტერორისტულ ცენტრში.

დეა - მერე ეს საქმე სტაჟიორს მიანდეს?

ასმათი - დამიჯერეთ, ვიცი რა მოსდით ადამიანებს ასეთ დროს.

დეა - მაინც რა?

ასმათი - კვდებიან. მეც დავიღალე. მთელი ღამე ჯერ იქ ვიყავი. ახლა კი აქ ვზივარ, თქვენს წინ.

დეა - და ერთად რომ დაგვსვამთ, რაიმე განსხვავებულს ვიტყვით?

ასმათი - შესაძლოა.

დეა - ცდებით.

ასმათი - შესაძლოა.

დეა - ძალიან მაღიზიანებს ეს თქვენი შესაძლოა.

ასმათი - უნდა მოითმინოთ.

დეა - არ ვაპირებ მოთმენას.

ასმათი - სხვა გზა არ გაქვთ.

დეა - რას ნიშნავს სხვა გზა არ გვაქვს?

ასმათი - საწყის ეტაპზე ჩვენ შევისაწვლეთ ყველა ოთახი და ყველა ადამიანი ვინც იმყოფებოდა იმ დროს შენობაში და დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ თქვენ, ანუ ერთ-ერთ თქვენგანს შეეძლო საწყობში ჩასვლა და ცეცხლის გაჩენა.

ვახო - ანუ მთავარი ეჭვმიტანილები ჩვენ ვართ?

ასმათი - დიახ.

ვახო - რატომ?

ასმათი - კომპიუტერებში ჩამონტაჟებული აღმოჩნდა მოსასმენი მოწყობილობები.

ვახო - მოიცა, გვისმენდით?

ასმათი - არა, შემთხვევით გამოვიდა ასე.

ვახო - აჰა, შემთხვევით.

ასმათი - აღმოჩნდა, რომ ეს კომპიუტერები შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილებიდან ჩამოწერეს და გადმოამისამართეს ოლიმპიურ კომიტეტში.

ვახო - აღმოჩნდა? სრულიად შემთხვევით, არა?

ასმათი - დიახ და ტერაქტის დღეს, ერთადერთი ოთახი სადაც არ იყო კომპიუტერები და არ ვიცით რა ხდებოდა, არის თქვენი ოთახი.

დეა - ხომ მოგიყევით რაც ხდებოდა?

ვახო - ის კომპიუტერები არ დაიწვა?

ასმათი - მასალა გადარჩა.

ვახო - ანუ შავი ყუთი გაქვთ?

ასმათი - დაახლოებით.

დეა - და ჩვენგან რას ელოდებით, აღიარებით ჩვენებას?

ასმათი - არა, აღიარებით ჩვენება საკმარისი არ იქნება, ჩვენ ფაქტები გვჭირდება.

ვახო - ჩვენ კი ადვოკატი!

ასმათი - მართლა გინდათ ადვოკატი?

ვახო - რა ვიცი, ასეთ დროს მგონი აუცილებელიც კია. არა? თუ მთავარი ეჭვმიტანილები ვართ?

ასმათი - მე მეგონა რომ ერთმანეთს დავეხმარებოდით.

ვახო - რითი? რაც ვიცოდი მოგიყევით.

ნინო - მეც მოგიყევით.

ვახო - თემო სად არის?

ასმათი -თემურ ნიშნიანიძე მეკითხებით?

ვახო - დიახ. სად არის?

ასმათი - მეც იგივე მინდოდა მეკითხა. სად წავიდა იცის ვინმემ?

ვახო - როდის?

ასმათი - იმ დღეს. ხომ თქვით ოთახიდან გავიდაო?

ვახო - ჰო, მე გავყევი. რა ხდება? დაიკარგა?

ასმათი - რატომ გაყევით?

ვახო - რა ვიცი, მარტო არ გავუშვი. ვერ იყო რაღაც.

ასმათი - რა ჭირდა?

ვახო - ვიკამათეთ და ზოგიერთებს ზედმეტი მოუვიდათ.

(ვახო ნინოს და დეას გადახედავს)

ასმათი - სად წახვედით?

ვახო - მაღაზიაში გადავედით. სიგარეტი ვიყიდე. მერე სპორტულ დარბაზში დავსხედით, ვუყურებდით ცარიელ დარბაზს და ვეწეოდით.

დეა - იქ მოწევა რო არ შეიძლება.

ნინო - თემო ეწეოდა?

ვახო - არა. უბრალოდ ხანდახან არ ვიცი რა ვაკეთო, სად წავიღო ხელები, როგორ გავიყვანო დრო და ამიტომ ვეწევიო.

ასმათი - იქ რამდენი ხანი გაჩერდით?

ვახო - დარბაზში? არ ვიცი, თხუთმეტი წუთი ალბათ.

ასმათი - მერე?

ვახო - მერე მე ტუალეტში მომინდა.

ასმათი - და წახვედით?

ვახო - რას მეკითხებით? ტუალეტში წავედი თუ არა?

ასმათი - მარტო დატოვეთ?

ვახო - მითხრა, ცოტა ხნით დავრჩებიო.

ასმათი - მერე?

ვახო - მერე აღარ მინახავს. ვერ პოულობთ?

ასმათი - (ნინოს)თქვენ სად იყავით აფეთქების დროს?

ნინო - სად ვიყავი და სახურავზე.

ასმათი - სახურავზე რა გინდოდათ?

ნინო - სახურავზე ავდივარ და ვყვირი მთელ ხმაზე.

ასმათი - რას ყვირით?

ნინო - რას ვყვირი? რას და... საქართველოს გაუმარ-ჯოს!

(ნინო იცინის. ასმათი სერიოზულად უყურებს. ისიც დასერიოზულდება)

ნინო - რას უნდა ვყვიროდე. დაძაბულობის მოსახსნელად ვყვირი.

ასმათი -თქვენმა ფსიქოლოგმა გირჩიათ?

ნინო - არა, სადღაც წავიკითხე.

ვახო - ფსიქოლოგთან დადიხარ?

ნინო - ჰო.

დეა - ახლა ფულის გადაყრა აღარ დაგვჭირდება. ამ ტერაქტის მერე ისედაც გვეკუთვნის ფსიქოლოგი. ხო სწორს ვამბობ?

ასმათი (დეას) - კი, გეკუთვნით. ოთახში მხოლოდ თქვენ იყავით. რას აკეთებდით?

დეა - ვფიქრობდი.

ასმათი - რაზე ფიქრობდით?

დეა - სერიოზულად მეკითხებით?

ასმათი (ვახოს) - ე.ი. თქვენ გახვედით ასე ოცი წუთით იყავით გასული. ამ დროში შესაძლებელია, რომ თქვენი ოთახიდან ჩავიდეს ვინმე საწყობში?

ვახო - რავი, ალბათ.

დეა - რა ალბათ?

ვახო - ალბათ შეიძლებათქო.

ასმათი - ნინო, თქვენ იცოდით სად იყო ფოიერვერკის საწყობი?

ნინო - არა, საიდან. საწყობი ვიცოდი, რომ იქ იყო, მაგრამ თუ იყიდეს და მოიტანეს რამე, ეგ არ ვიცოდი.

დეა - იმ დღეს არ გითხარი?

ნინო - არ გამიგია. ან რაში მაინტერესებდა. რა ჯანდაბად უნდოდათ ამდენი ასაფეთქებელი ისე?

ვახო - იმიტომ რომ ზომა არ ვიცით არაფერში.

ასმათი - რას ეწევით?

ნინო - რა მკითხეთ?

ასმათი - ეწევით და თუ ეწევით რომელ სიგარეტსთქო.

(ნინო ხელში მოჭმუჭნულ სიგარეტის კოლოფს დაანახებს ასმათს)

ნინო - ჟიტანს.

ასმათი - იმ დღეს რამდენი ღერი მოწიეთ?

ნინო - არ მახსოვს.

ასმათი - გაიხსენეთ, მნიშვნელოვანია.

ნინო - რატომ?

ასმათი - ფოირვერკის საწყობს ცეცხლი მოუკიდეს.

ნინო - რითი ბიჩოკით?

ასმათი - მიპასუხეთ რამდენი ღერი მოწიეთ?

ნინო - არ ვიცი, სამი. შეიძლება ოთხიც. თქვენ ფიქრობთ რომ მე...

ასმათი - მასობრივ მკვლელობაში დამნაშავეების უმრავლესობა, 99%, ანტიდეპრესანტებს იღებს.

ვახო - ეგეც ამერიკაში გასწავლეს?

ასმათი - რა?

ვახო - ის რომ ყველაფერში დამნაშავე ანტიდეპრესანტებია?

ასმათი - მე მხოლოდ მშრალი სტატისტიკა მოვიყვანე. თემურთან მეგობრობდით?

დეა - კი, ზოგადად ძაან მეგობრული კოლექტივი ვართ.

ვახო - ყოველ დილას რიტუალივით გვქონდა, სამზარეულოში ვიდექით, ყავას ვსვამდით და ვლაპარაკოპდით.

ასმათი - რაზე?

ვახო - რა ვიცი, ხან რაზე და ხან რაზე.

ასმათი - იმ დილით რაზე ლაპარაკობდით?

ვახო - რა მნიშვნელობა აქვს რაზე ვლაპარაკობდით, არ გამაგიჟოთ ახლა.

ასმათი - აფეთქების მერე სად წახვედით? სახლში არ დაბრუნებულხართ.

ვახო - არა, ჩემს შეყვარებულთან წავედი.

ნინო - არ ვიცოდი შეყვარებული თუ გყავდა.

ვახო - ჰო, მყავდა.

ასმათი - მერე?

ვახო - ჩემი შეყვარებული სახლში არ დამხვდა. აფეთქებაზე რომ გაუგია სახლიდან გამოვარდნილა ჩემთან. მე მობილური ოთახში დამრჩა და ვერ დარეკავდა. გზაში ავცდით. მამამისი იყო მარტო სახლში. კარი რომ გამიღო და დამინახა, თვალები აუცრემლიანდა, გულში ჩამიკრა და ჩურჩულებდა, როგორ გვანერვიულე ბიჭოო, თან ზურგზე მიცაცუნებდა ხელს.

(პაუზა)

ჰოდა, ავტირდი, ამის დედა ვატირე. ნეტავ რა მატირებდა? იცით როგორი განცდა მაქვს? რომ რაც მოხდა, ვიღაც ძაან ახლობელმა ჩაიდინა.

დეა - ვინ ახლობელმა?

ასმათი - კონრეტულად გულისხმობთ ვინმეს?

ვახო - არავის, უბრალოდ მგონია რომ ახლობელია. როგორ აგიხსნით? თუ მე შემიყვარდა იმის შვილი, ვინც მცემა...

დეა - ვინ გცემა?

ვახო - შეყვარებულის მამამ. ადრე.

ნინო - მამამ?

ვახო - ჰო.

ასმათი - დიახ, ჩვენ დავკითხეთ ბატონი ემზარი.

(პაუზა)

ვახო - ვინ დაკითხეთ?

ასმათი - ბატონი ემზარი, ვინც გცემათ.

ვახო - რატომ დაკითხეთ?

ასმათი - რა რატომ? ეჭვიმტანილი ხარ.

ვახო - მერე? რა უთხარით?

ასმათი - ძველი საქმე გავიხსენეთ.

ვახო - რა საქმე?

ასმათი - გურამი გახსოვთ?

ვახო - ვინ გურამი?

ასმათი - აი, ის ბიჭი ვინც დაიჭირეს.

ვახო - სოფო სახლში იყო?

ასმათი - გახსოვთ?

ვახო - სოფო სახლში იყო?

ასმათი - რატომ ნერვიულობთ?

ვახო - რა გინდათ? გამიშვით აქედან. არ გაქვთ ამის უფლება.

ასმათი - ადამიანმა, ვისთანაც თურმე მეგობრობდით კიდეც, რამდენიმე წელი გაატარა თურმე ციხეში თქვენი ჩვენების საფუძველზე.

ვახო - მივდივარ!

ასმათი - ვერსადაც ვერ წახვალ. დაჯექი.

ვახო - არ დავჯდები. რა უფლება გქონდათ? მითხარით?

ასმათი - დაჯექით!

(პაუზა)

დეა - ვახო, მეც მოვდივარ!

ასმათი - თქვენი ქმარი რას საქმიანობს?

დეა - ბატონო? აქ ჩემს ქმარზე სალაპარაკოდ ვართ?

ასმათი - მოდი, შევთანხმდეთ რა, კითხვას რომ დავსვამ, დაფიქრდებით და მიპასუხებთ. რა საჭიროა? რატომ? რისთვის? ამას მე ვწყვეტ.

(დეას მობილური რეკავს)

დეა - დიახ, ბატონო ზაზა. სად ვიქნებით, დაკითხვაზე. მთელი დღეა. არა, არ ვიცით როდის გამოგვიშვებენ. არაფერს გვეუბნებიან. არა, ახალი არაფერი არ არის. რა ჩამოიტანეს? ოლიმპიური ჩირაღდანი? უი, რა კარგია. კომიტეტთან აანთეთ? რა სიმბოლურია. დიახ. მისმინეთ, ტრაკში გაიკეთეთ ეგ თქვენი ჩირაღდანი. წადი შენი დედაც მოვტყან.

(მობილურს მაგიდაზე დაახეთქებს)

დეა - რა მკითხეთ?

ასმათი - თქვენი ქმარი რას საქმიანობს.

დეა - სამხედრო ინსტრუქტორია. ქართულ ჯარს წვთნის.

ასმათი - წარმოშობით ამერიკელია?

დეა - გცოდნიათ რაღას მეკითხებით.

ასმათი - ვამოწმებ სწორი ინფორმაცია მაქვს თუ არა.

დეა - ჩემს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკის არც სურვილი მაქვს და არც ნერვები. გასაგებია? გითხარით შენობა ზანზარებდა. ცეცხლი გაჩნდა. ვიღაცები ყვიროდნენ.

ნინო - კიდევ ვიღაც უკრავდა

ასმათი - ვინ უკრავდა?

ნინო - მუსიკოსების ქასთინგი თუ რაღაც ეგეთი იყო და აფეთქების მერე, ერთ-ერთ მუსიკოსს ისე შეეშინდა, რომ დაკვრა არ შეუწყვიტავს. იდგა და უკრავდა. მეც ეგრე ვიყავი.

ასმათი - როგორ?

ნინო - როცა ჩემი მშობლები ჩხუბობდნენ. პიანინოზე ვიწყებდი დაკვრას. მათი ხმა რომ არ გამეგო. ციოდა სახლში. თითები მეყინებოდა ხოლმე. მარტო მაშინ ვწყვეტდი დაკვრას, როცა ხმას ისე აუწევდნენ, რომ მეშინოდა ერთმანეთი არ დაეხოცათ. გამოვარდებოდი და ვეუბნებოდი: რა გჭირთ რა? არ გრცხვენიათ? ვმეცადინეობ! ხელს მიშლით! თითქოს მართლა ეს მაწუხებდა.

ასმათი - აფეთქების მერე თუ ნახეთ ერთმანეთი?

დეა - ჩვენ სამმა?

ასმათი - დიახ.

დეა - ისეთი ქაოსი იყო, რომ ვინ ვნახე და ვინ არა, აღარც კი მახსოვს.

(პაუზა)

დეა - კითხვები აღარ გაქვთ?

ასმათი - როდის დაგშორდათ ქმარი?

დეა - თქვენ რა იცით რომ დამშორდა?

ასმათი - ალექსს ველაპარაკეთ.

დეა - როდის მოასწარით?

ასმათი - როდის დაგშორდათ?

დეა - ეგ არ უთქვამს? იქამდე სანამ ჰაერში აგვწევდნენ. რა კავშირი აქვს ამას საქმესთან?

ასმათი - ჩვენ ადამიანებთან ერთად ვეძებთ მოტივებს.

დეა - და ის რომ ქმარი დაგშორდა, საკმარისი მოტივი გგონიათ?

ასმათი - შესაძლოა. რატომ დაგშორდათ?

დეა - რა თქვენი საქმეა.

ასმათი - არ მიპასუხებთ?

დეა - ჩემო კარგო, კაცებს ერთადერთი რამე უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი ჰყავდეთ. თან რაც უფრო უმცროსი იქნება, მით უკეთესი. ჩემთან რაღა

უნდოდა. შვილი ჩვენ არ გვყავდა ახალი შვილი იპოვნა ალბათ, ვისთანაც დაწვება კიდეც.

ასმათი - ნინო, თქვენ მიიღეთ სამსახურში?

დეა - დიახ.

ასმათი - რატომ?

ნინო - კონკურსი გავიარე.

დეა - კონკურსი გაიარა კი.

ნინო - რა არ გავიარე?

დეა - გაიარე.

ასმათი - იცოდით, რომ ქმარი თქვენს თანამშრომელთან გღალატობდათ?

ვახო - ვისთან?

ასმათი - თქვენს თანაშემწესთან რომ გღალატობდათ?

ნინო - რატომ აკეთებთ ამას?

ასმათი - იცოდით რომ თქვენ ქმარს ურთიერთობა ნინოსთან ჰქონდა?

დეა - საკმარისია!

ვახო - ვინ ნინოსთან?

ასმათი - მიპასუხეთ.

დეა - არა.

ასმათი - არ იცოდით თუ არ მიპასუხებთ?

დეა - არ გიპასუხებთ!

ასმათი - ნინო, რამდენი ხანია რაც...

ნინო - ბავშვობაში მწყევლიდნენ ხოლმე და მგონი ეგ წყევლა ახდა. ბაღში როცა რამეს დავაშავებდით, მასწავლებელი გვიყვიროდა: თქვენი კუბო დავდგიო და მე წარმოვიდგენდი ამ კუბოებს. ნეტავ როგორ დაატევენ მეთქი

ვფიქრობდი. ამდენი ბავშვის კუბოს როგორ დაატევენ ამ პატარა ოთახში. ჰორიზონტალურად დადგამენ? ვერტიკალურად თუ ერთმანეთზე შემოდგამენ-მეთქი? წარმოვიდგენდი კუბოებით სავსე ოთახს. ვთვლიდი, ვზომავდი და ვერ ვატევდი.

ასმათი - ნაწილს გარეთ დადგამდნენ, ეზოში. თქვენ მგონი ვერ ხვდებით რამდენად სერიოზულადაა საქმე.

ვახო - რას უნდა ვხვდებოდეთ?

ასმათი - რას და იმას რომ სამუდამო პატიმრობა გემუქრებათ.

ვახო - რა სისულელეა.

ასმათი - დარჩენილ სიცოცხლეს რომ ციხეში გაატარებთ, მერე იძახეთ სისულელე იყოო.

ვახო - როგორ დაამტკიცებთ?

ასმათი - რას?

(ასმათს მობილური ურეკავს. ის დგება და გადის)

ვახო - სად მიდიხართ?

(ასმათი არ პასუხობს. პაუზაა.)

დეა - მართალია?

(ნინო არაფერს პასუხობს)

დეა - ე.ი. მართალია.

ნინო - ისე არ არის, როგორც შენ წარმოგიდგენია.

დეა - ალბათ.

ნინო - შენი დაბადების დღე იყო. მაგრად დავთვერი. შენ მეუბნებოდი, დარჩიო, მაგრამ ავიტეხე... ალექსმა წამიყვანა სახლში. ჩამეძინა, რომ გავიღვიძე ისევ გზაში ვიყავით. აქამდე როგორ ვერ მივედითმეთქი და ისე გეძინა რომ ვერ გაგაღვიძეო. დიდხანს ვიარეთ ქალაქში. სადღაც გააჩერა. ყავა იყიდა. მერე ქალაქიდან გავედით. არ ვიცი, როგორ აგიხსნა იმ ღამით რომ არ დაბრუნდა

სახლში. თავიდან ვერ გავაცნობიერე რა ხდებოდა. ისეთ სიტუაციაში ავღმოჩნდი, მაგრამ ისე მარტო ვგრძნობდი თავს, ის კი ისე მექცეოდა... არა, იმას კი არ ვაბრალებ ახლა. უბრალოდ მთვრალი რომ არ ვყოფილიყავი, არაფერიც არ მოხდებოდა. მერე მექანიკურად...

დეა - ჩემი გაზრდილი ხარ. ჩემს შვილთან ერთად გეძინა.

ვახო - ეს რა სიაა? ერთი წამი შეხედე.

დეა - ჰა?

ვახო - ერთი წამით შეხედე ამას.

დეა - რა არის?

ვახო - ნახე რა ერთ წამს. რა სიაა?

(დეა ფურცელს დახედავს და მხრებს იჩეჩავს)

დეა - მკვდრები არიან.

ვახო - რანაირად თემოც წერია.

დეა - მაშინ არ არიან.

ვახო - იქნებ თემოც მკვდარია.

დეა - გვეტყოდნენ.

ვახო - მთავარი ეჭვმიტანილები თუ ჩვენ ვართ, თუ ჩვენი ოთახიდან არის ვიღაც, თემო, რატომ არ ჰყავთ აქ?

(შემოდის ასმათი)

ვახო - ეს რა სიაა?

ასმათი - რატომ იქექებით ჩემს ფურცლებში?

ვახო - მაგიდაზე იდო და ავიღე.

ასმათი - არ უნდა აგეღოთ.

ვახო - აქ რას დატოვეთ მაშინ. რა სიაა?

ასმათი - თქვენი თანამშრომლების.

ვახო - მაგას როგორღაც მივხვდით. თემოს რა უნდა ამ სიაში?

ასმათი - რა თემო არ იყო თქვენი თანამშრომელი?

ვახო - და ჩვენ რატომ არ ვართ? ბოლოსდაბოლოს არ გვეტყვით სად არის?

ასმათი - რა თქვენ არ იცით?

ვახო - რა უნდა ვიცოდეთ?

ასმათი - მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ.

ვახო - რას მივყვეთ თანმიმდევრულად?

ასმათი - აბა, რა გინდათ რომ იგლოვოთ? ადამიანებს რომ გლოვა აცადონ, ყველა დანაშაული გაუხსნელი დარჩება.

დეა - ხელფასი ჩაირიცხა.

ვახო - ახლა ჩაირიცხა? იმ დღეს შვილისთვის დაბადების დღეზე საჩუქრის საყიდელი ფული არ ჰქონდა. დილით მთხოვა მასესხეო, სანამ საწყობში ჩავიდოდა.

ასმათი - საწყობში რა უნდოდა?

ვახო - დაფისთვის ჩავიდა.

ასმათი - თემო რატომ ჩავიდა? არავინ იყო მუშა, საწყობის თანამშრომელი?

ვახო - იყო ალბათ, მაგრამ...

დეა - მე კიდევ სამსახურიდან გავაგდე.

ასმათი - სამსახურიდან გაუშვით? და ახლა მეუბნებით ამას?

დეა - არ გამხსენებია. ახლა მის სახეს რომ მაგონდება.

ასმათი - რა რეაქცია ჰქონდა?

დეა - ხმა არ ამოუღია. მობილური დამიდო მაგიდაზე და გავიდა.

ასმათი - რა მობილური?

დეა - კორპორატიული.

ასმათი - ანუ საწყობთან ყველაზე ახლოს იყო ადამიანი რომელიც სამსახურიდან რამდენიმე წუთის წინ გააგდეთ? და აქამდე არ მეუბნებოდით ამას? რას ამბობდა? ყველაფერი გაიხსენეთ.

ვახო - აღარ მიყვარს ეს ქვეყანა და არ ვიცი რა ვქნაო.

ასმათი - ე.ი. დეა ოთახშია და ფიქრობს. ნინო სახურავზეა და ყვირის. შენ თემურთან ერთად დარბაზში ხარ და ეწევი.

ვახო - რატომ იმეორებთ ერთსადაიმავეს?

დეა - იქ რატომ დატოვე?

ვახო - დავრჩებიო მითხრა და ძალით ხომ არ წამოვიყვანდი?

დეა - იქვეა საწყობი.

ასმათი - თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლის შესახებ გაგიათ რამე?

დეა - რისი თქმა გინდათ?

ნინო - მაპატიე, დეა.

ასმათი - ახლა მე შემოვატანინებ თქვენს ჩვენებებს და მოაწერთ ხელს.

ვახო - გვიშვებთ?

ასმათი - სად?

ვახო - არ ვიცი. აბა, ხელს რაზე გვაწერინებთ?

ასმათი - რაც თქვით იმაზე. ყველაზე ახლოს იმ ადგილთან, რომელიც აფეთქდა, იყო ადამიანი რომელიც იყო აღელვებული, იმიტომ რომ სამსახურიდან გააგდეს, ჰქონდა ის ხოხბის კოსტუმი...

ვახო - მოიცა, თქვენ საიდან იცით? დერეფანში რომ გავედით ის კოსტუმი ეგდო, აიღო... მერე რა?

ასმათი - ა, თქვენ თუ იცოდით რატომ არ თქვით?

დეა - თქვენ ხომ ისედაც იცით ყველაფერი?

ასმათი - არა, მაგრამ ახლა ვხვდები. რა იყო რა არ მეთანხმებით?

(შემოდის თემო. ყველანი მას უყურებენ. თემო თავს დაუკრავთ მისალამების ნიშნად. სკამზე ჯდება და იღიმის)

თემო - ვერაფრით გავაგებინე ამათ, რომ იმიტომ ჩავიცვი ის ხოხბის კოსტუმი და იმიტომ გავიქეცი, რომ ჩემი შვილის დაბადების დღე იყო. საჩუქარის ფული არ მქონდა-მეთქი და რომ დავინახე ეს მიგდებული კოსტუმი, ერთადერთი რაც მოვიფიქრე, ავდექი და ჩავიცვი. არ მომიპარავს, მიპოვნია. ვაბრუნებ აგერ. საჩუქარი მოვედი-მეთქი. ხმა ეცნო და ეჭვის თვალით შემომხედა. მერე თამაშში ამყვა. ერთად ვიცეკვეთ. მერე ის დიდი, ჭრელი თავი მოვიძრე და რომ დამინახა ისე გაუხარდა, სახე გაებადრა. მომეხვია. თავისი ციცქნა ხელები დამადო ლოყაზე და დიდხანს არ გამიშვა. მთელი ძალით მიჭერდა. მე კიდევ ცრემლები მომდიოდა...

ვახო - აბა, მოკვდაო?

ასმათი - მე არაფერი არ მითქვამს. თქვენ თვითონ დაასკვენით.

თემო - ვინ კაცო? მე? ჯერ მე სიკვდილს არ ვაპირებ. სად მაქვს მაგის ფუფუნება. უნივერსიტეტიდან ხომ წამოვედი. სკოლიდან გამომიშვეს. სამინისტროში საერთოდ აღარ მიშვებენ. ცოლი გამშორდა. სამსახურიდანაც მოდიხარ? დაიკიდე რა ფეხებზე. მთელი ღამე ვმუშაობდი... მაგრამ ვის რაში ჭირდება ეგ.. იყავი ჯიგარი. მეტი არაფერი მოგეთხოვება ამ ქვეყანაში. ბოდიში, ნინო, უნდა დამეწერა შენთვის ნიშანი. დეა, შენ როგორც იტყვი ისე გავაკეთოთ. ბატონ ზაზას როგორც უნდა ისე ვქნათ. (პაუზა) დაუვიწყარი გახსნა გვექნება.

ასმათი - მოდი, თავიდან დავიწყოთ. როგორ დაიწყო დღე? რატომ შეიცვალეთ ოთახი? რატომ არ გქონდათ კომპიუტერები? როგორი ამინდი იყო? ახლა რაზე ფიქრობთ?